ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4373047

ნომერი: AR1659871

თარიღი : 06.02.2019

გაცემის თარიღი : 12.02.2019

გაცნობის თარიღი : 13.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N57;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი აფციაური პ/ნ 01024015015
- თბილისი გ.ისაკაძის ქ. N 117

ორგანიზაცია:

- შპს სოლოდეველოპმენტი კოდი: 405112729

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 6 თებერვლის AR1659871 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: 03.07.2009 წ. #01.14.05.005.011 (2324 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე ერეული ფუნქციის (საოფისე, საცხოვრებელი და სხვა) შენობა–ნაგებობის ასაშენებლად დამტკიცდა #619 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. 2012 წლის 10 მაისის №154779 ბრძნებით შევიდა ცვლილება და საპროექტო ობიექტის ფუნქცია დაფიქსირდა შემდეგნაირად: შერეული ფუნქციის ობიექტი (საოფისე,საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო და სხვა) და დამხმარე სათავსო. ასევე, 2016 წლის 19 სექტემბრის №2842325 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება აღნიშნულ პირობებში და საპროექტო ობიექტში დაფიქსირდა: შერეული ფუნქციის ობიექტი (საოფისე, საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო და სხვა), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და დამხმარე სათავსო. მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითა-2324 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდა-#01.14.05.005.089.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განცხადების მოთხოვნის ტექსტის შესაბამის დახარვეზებულ ველში დეტალურად დააზუსტოთ მოთხოვნა. რომელი საპროექტო ობიექტის ფუნქციის რა ფუნქციით ცვლილება გსურთ.

ამასთან, თქვენს მიერ არასწორად არის მითითებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები (დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი; დადგნეილი გაპის ბრძანების თარიღი). შესაბამისად, საკითხის განსახილველად საჭიროა მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტების დახარვეზებულ ველში მიუთითოთ სამსახურის მიერ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების სწორი რეკვიზიტები, რომელშიც უნდა განხორციელდეს ცვლილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2019 წლის 6 თებერვლის AR1659871 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.